



**„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ აქვეყნებს ანგარიშს ინტერნეტის თავისუფლებასთან დაკავშირებით**

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ ახალ ანგარიშს აქვეყნებს, რომელიც 2012 წლის პერიოდს მოიცავს. ანგარიშში „ინტერნეტის თავისუფლება - ვინ აკონტროლებს საქართველოს ტელეკომუნიკაციების სექტორს?“ შემდეგი ტენდენციები გამოვლინდა:

- საქართველოს სატელეკომუნიკაციო კომპანიების, მათ შორის სამი უმსხვილესი ინტერნეტ პროვაიდერის - „კავკასუს ონლაინის“, „სილქნეტის“ და „ბილაინის“ მფლობელები საკუთარი ვინაობის დასაფარად ფიქტიურ კომპანიებს იყენებენ. ჩვენს მიერ მოძიებული ფაქტები საფუძვლიან ეჭვს ქმნის, რომ „კავკასუს ონლაინის“ 50% და „ბილაინის“ 49% ერთსა და იმავე დაუდგენელ პირებს ეკუთვნით, რომლებიც ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე დარეგისტრირებული კომპანიის უკან იმალებიან. აღნიშნულმა პირებმა საკუთარ წარმომადგენლად ლევან ყარამანიშვილი დანიშნეს, რომელიც, თავის მხრივ, ფლობს წილებს „რუსთავი 2“-სა და „მზეში“. ყარამანიშვილი რესტორნების ქსელ „GMC ჯგუფთანაც“ არის დაკავშირებული და სხვა რამდენიმე ბიზნეს საქმიანობაშიც არის ჩართული.
- კომპანიები მომხმარებლებს მონაცემთა შეგროვების, შენახვისა და მათი დაცულობის შესახებ სრულ ინფორმაციას არ აწვდიან. ისინი არ განმარტავენ, თუ რა შემთხვევებში შეიძლება მოხდეს აღნიშნული ინფორმაციის მესამე მხარისთვის გადაცემა.
- წლების განმავლობაში შინაგან საქმეთა სამინისტროს შეუზღუდავი წვდომა აქვს სატელეკომუნიკაციო კომპანიების ტექნიკურ ინფრასტრუქტურაზე. ეს შეუძლებელს ხდის ელექტრონული კომუნიკაციის მეთვალყურეობაზე კანონით გათვალისწინებული სასამართლო ზედამხედველობის პრაქტიკის დანერგვას.
- მთავრობის და ინტერნეტ პროვაიდერების მხრიდან არ შეინიშნება ცენზურის დაწესების ან კონტენტის დაბლოკვის მცდელობა; არც აქტივისტებისა და ჟურნალისტების დაკავების ან დაკითხვის ფაქტების შესახებ ვრცელდება რაიმე ინფორმაცია.

**თბილისი / Tbilisi**

რუსთაველის გამზ. 26, III სართ. , 0108  
ტელ.: +(995 32)292 14 03  
ფაქსი: +(995 32) 292 02 51  
ელ-ფოსტა: info@transparency.ge

26 Rustaveli Ave, III floor, 0108  
Tel: +(995 32)292 14 03  
Fax: +(995 32) 292 02 51  
E-mail: info@transparency.ge

**ბათუმი / Batumi**

26 მაისის ქ. 36/ჯინჯარაძის 10, 6010  
ტელ./ფაქსი: + (995 422 ) 29 44 88  
ელ-ფოსტა: info@transparency.ge

36, 26 May Str./10 Jinchardze str. 6010  
Tel./Fax: + (995 422) 29 44 88  
E-mail: info@transparency.ge

**ზუგდიდი / Zugdidi**

ცოტნე დადიანის ქ. 3, 2100,  
ტელ./ფაქსი: +(995 415) 22 37 20  
ელ-ფოსტა: info@transparency.ge

3 Tsothe Dadiani Str., 2100  
Tel./Fax.: +(995 415) 22 37 20  
E-mail: info@transparency.ge

**ქუთაისი / Kutaisi**

9 აპრილის ქ. 10, 4600  
ტელ./ფაქსი: +(995 431) 29 26 54  
ელ-ფოსტა: info@transparency.ge

10, 9 April Str, 4600  
Tel./Fax.: +(995 431) 29 26 54  
E-mail: info@transparency.ge

- ბოლო წლებში ინტერნეტის მომხმარებელთა რიცხვი მკვეთრად გაიზარდა, თუმცა ბოლო პერიოდში ამ მაჩვენებლის ზრდის ტემპის შენელება შეინიშნება. ინტერნეტს ყოველდღიურად ზრდასრული მოსახლეობის დაახლოებით მეოთხედი (24%) მოიხმარს, 8% კი ქსელში კვირაში ერთხელ მაინც შედის. „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის“ გამოკითხვის მიხედვით, ყოველი ათიდან დაახლოებით ხუთი მოქალაქე, ანუ მოსახლეობის 58%, ინტერნეტით საერთოდ არ სარგებლობს.
- ელექტრონული კომუნიკაციის თვითნებური და სისტემატური მეთვალყურეობის პრობლემაზე ახალ მთავრობას ჯერ კიდევ სამუშაო აქვს.
- ადგილობრივმა და ცენტრალურმა ხელისუფლებამ მოსახლეობაში ახალი ტექნოლოგიების მოხმარების შესახებ უნარების ასამაღლებლად მეტი ღონისძიება უნდა ჩაატაროს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“ მოუწოდებს პარლამენტს დააყენოს საკანონმდებლო ცვლილებების გატარების საკითხი, რომელიც მაუწყებლების მსგავსად, საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისიას დაქვემდებარებულ მობილურ ოპერატორებსა და ინტერნეტ პროვაიდერებსაც მოსთხოვს ბენეფიციარ მფლობელთა ვინაობის გამჟღავნებას. ასევე, გათვალისწინებულ უნდა იქნას რეგულაციები, რომლებიც კომერციული ვებ-გვერდებისა და ონლაინ საინფორმაციო საშუალებების მფლობელების გამჭვირვალობის ზრდას უზრუნველყოფს.

*“საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ” ზემოაღნიშნული კვლევა განახორციელა IREX-ის G-MEDIA პროგრამის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მეშვეობით. სამომავლოდ, ჩვენი ორგანიზაცია კვლავ განაგრძობს ქართული მედია სექტორის მონიტორინგს და პრობლემატურ საკითხებზე შესაბამისი კვლევების გამოქვეყნებას.*

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

დიანა ჩაჩუა, მედია ანალიტიკოსი, 5 77 77 96 39

[Diana.chachua@transparency.ge](mailto:Diana.chachua@transparency.ge)

ნანა ლობჯანიძე, კომუნიკაციების ოფიცერი, 5 95 21 03 09

[nana@transparency.ge](mailto:nana@transparency.ge)